კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, დასამონტაჟებელი დეკორატიული ელემენტებით გაფორმებული ლითონის მინი ურნების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი **30.01.2014წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ყოჩიაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი;
ლევან ჩალაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
დავით ბურდული – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომას არ ესწრებოდა:

დავით ნინიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;

დღის წესრიგი:

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, დასამონტაჟებელი დეკორატიული ელემენტებით გაფორმებული ლითონის მინი ურნების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის, გიორგი ყოჩიაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ დაადგინა:

1) დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის (იხ. დანართი N1 და N2) წარმოდგენილი ვარიანტი;
2) საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

კომისიის წევრი **/გიორგი ყოჩიაშვილი/**

კომისიის წევრი **/ლევან ჩალაძე/**

კომისიის წევრი **/დავით ბურდული/**